



**სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**



KA080176167034619

№ 4461

14 / ნოემბერი / 2019
წ.

შპს „დიკა 2010“-ის თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ


სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 18 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა შპს „დიკა 2010“-ის (ს/ნ: 406027981) 2019 წლის 18 ოქტომბრის № 2019-10/034 მომართვა (რეგისტრაციის № 11156), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. შპს „დიკა 2010“-მა 2019 წლის 1 ნოემბერს წარმოადგინა 2019 წლის 1 ნოემბრის № 2019-01.11.1 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 11705), რომლითაც გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2019 წლის 25 ოქტომბრის № 4136 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „დიკა 2010“-ის (ს/ნ: 406027981) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2019 წლის 20 ნოემბერს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „დიკა 2010“-ს (ს/ნ: 406027981) 2019 წლის 21 ნოემბრიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ლევან რაზმაძე